დაიჯესტი

15-21 ოქტომბერი, 2022

TRC ტერორიზმის კვლევითი ცენტრი
TERRORISM RESEARCH CENTER

ამერიკის შეერთებული შტატები

18 ოქტომბერს ამერიკის ხაზინის დეპარტამენტმა დაასანქცირა 10-ზე მეტი სომალური და იემენური წარმოშობის პიროვნება, რომლებიც ჩართულნი იყვნენ სომალური ისლამისტური სამხედრო დაჯგუფების ალ-შაბააბის ფინანსურ ოპერაციებში. გავცელებული ინფორმაციით, ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ფინანსურ ოპერაციებს ახორციელებდა ციფრული ვალუტის საშუალებით.

19 ოქტომბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ FBI-მ დაადგინა ნეო-ნაცისტური ტერორისტული დაჯგუფების ადგილსამყოფელს, რომელიც დააფუძნა პენტაგონის ყოფილმა კონტრაქტორმა, ამერიკელმა რინალდო ნაზარომ. FBI-ის ინფორმაციით, აღნიშნული ბაზა ამჟამად რუსეთში მდებარეობს.

საფრანგეთი

20 ოქტომბერს საფრანგეთის სასამართლო წყაროს ინფრომაციით, მამაკაცს, რომელსაც ბრალი ედებოდა იარაღის მიწოდებაში იმ ჯიჰადისტი შეიარაღებული პირებისთვის, რომლებიც 8 წლის წინ საფრანგეთში ჟურნალ Charlie Hebdo-ს და ებრაულ სუპერმარკეტს თავს დაესხნენ, სააპელაციო სასამართლოს შედეგად სამუდამო პატიმრობა მიესაჯა. 37 წლის ალი რიზა პოლატს, რომელიც ტერორისტულ თავდასხმაში თანამონაწილეობის ბრალდებას ეწინააღმდეგება, თავდაპირველად 2020 წლის დეკემბერში 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

შვედეთი

20 ოქტომბერს შვედეთის ახლახან დანიშნულმა პრემიერ-მინისტრმა, ულფ კრისტერსონმა ნატოს გენერალურ მდივანთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ შვედეთი უფრო მკაფიოდ და ღრმად ჩაერთვება ნატოს კონტრტერორისტულ საქმიანობაში.

სლოვაკეთი

19 ოქტომბერს სლოვაკეთის პოლიციამ ლგბტ თემზე თავდასხმა ტერორიზმად შეაფასა. თავდამსხმელის შემზარავი სიტყვები მასობრივი მსროლელებით აღფრთოვანებაზე მიუთითებს. გასულ ოთხშაბათს, სოციალურ ქსელში შეიარაღებულმა მამაკაცმა, რომელიც თავს დაესხა ლგბტქ+ თემს ბრატისლავაში, ბუფალოს სუპერმარკეტში შეჭრილი მსროლელი მისი შთაგონების წყაროდ დაასახელა. მალევე, 7 საათიდან, ბრატისლავის ცენტრში, ბარ ტეპლარენთან, გაისმა სროლა, რის შედეგადაც ორი ადამიანი დაიღუპა და ერთი დაიჭრა.

სირია

ალ-მონიტორის ინფორმაციით, დაეში აცხადებს, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე სირიაში განხორციელებულ ოპერაციებში მათ მოკლეს 125 ადამიანი, რომელთა უმეტესობა იბრძოდა სირიის დემოკრატიული ძალების მხარეს (SDF). ადგილობრივი ჟურნალისტი ზაინ ალ-ალკაიდი აცხადებს, რომ დაეშმა მიზანში ამოიღო ჩრდილოეთ სირიის ქურთების მიერ კონტროლირებული ტერიტორიები.

ფრანს-პრესის ინფორმაციით, ჯიჰადისტური სამხედრო დაჯგუფების HTS-ის პოზიციები იდლიბის რეგიონში ძლიერდება. უკანასკნელ დღეებში სირიის ჩრდილოეთ რეგიონში დაფიქსირდა ბოლო წლების ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური შეტაკება სირიულ ამბოხებულ ჯგუფებს შორის, რის შემდეგაც HTS უკვე თითქმის სრულად აკონტროლებს ქალაქ აფრინს.

ერაყი

19 ოქტომბერს ქურთული თავდაცვის ძალების წყაროებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ მოხდა 600-ზე მეტი ერაყელის რეპატრირება ალ-ჰოლის მიგრანტთა ბანაკიდან. რეპატრირებული ერაყელების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დაეშთან, ალ-ჰოლის ბანაკი დღესდღეობით იტევს კიდევ 55 000 ადამიანს.

ისრაელი

16 ოქტომბერს ისრაელის თავდაცვის ძალებმა ნაბლუსში დააკავეს ტერორიზმში ბრალდებული ჰამზა ალ- აზი. ამავე დროს, ისრაელში გავრცელდა ინფორმაცია აღმოსავლეთ იერუსალიმში თავდაცვის ძალებსა და აჯანყებულებს შორის შეტაკებების შესახებ, სადაც დაიჭრა ოთხი ადამიანი.

19 ოქტომბერს ისრაელის თავდაცვის ძალებმა დასავლეთ სანაპიროზე დააკავეს პალესტინელი ტერორისტი, TLD-ის წევრი შაჰიბ შთაიე. შაჰიბ შთაიეს დაკავება იყო ისრაელის უსაფრთხოების სამსახურის, ისრაელის სასაზღვრო პოლიციისა და სამარიის რეგიონალური ბრიგადის საერთო ოპერაცია.

20 ოქტომბერს ჯალამეს გადაკვეთაზე არეულობის დროს ტერორისტებმა ისრაელის თავდაცვის ძალებს ცეცხლი გაუხსნეს. არეულობის დროს თავდაცვის ძალებს სამი ეჭვმიტანილი მიუახლოვდა, რომელთაგან ერთ-ერთს ხელში საეჭვო ნივთი ეჭირა. შემთხვევის ადგილზე მყოფმა IDF-ის ჯარისკაცებმა ჰაერში ისროლეს, რის საპასუხოდ ერთ-ერთმა ტერორისტმა საეჭვო ობიექტი ისროლა, რომელიც ბომბი აღმოჩნდა, ხოლო მეორე ტერორისტმა გადასასვლელისკენ გახსნა ცეცხლი.

22 ოქტომბერს ისრაელის პრემიერ-მინისტრის განცხადებით, პალესტინელი მამაკაცი, რომელმაც ამ თვის დასაწყისში ისრაელელი ჯარისკაცი მოკლა, იერუსალიმის მახლობლად დასავლეთ სანაპიროზე დასახლებული პუნქტის დაცვის თანამშრომელზე ცეცხლის გახსნის შემდეგ მოკლეს.

საუდის არაბეთი

19 ოქტომბერს ისლამისტური ფრაქციის ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, საუდის არაბეთის ხელისუფლებამ, სამწლიანი პატიმრობის შემდეგ, გაათავისუფლა პალესტინის ისლამისტური ჯგუფის, ჰამასის მაღალი თანამდებობის პირი. ჰამასის პოლიტიკური ბიუროს წევრმა, ეზატ ელ-რეშიკმა თავის განცხადებაში თქვა, რომ 83 წლის მოჰამად ალ-ხოდარი, რომელიც საუდის არაბეთის ხელისუფლებამ 2019 წელს ათობით სხვასთან ერთად დააკავა, იორდანიაში მიმავალ თვითმფრინავში იმყოფებოდა.

სომალი

ამერიკის ხმის ინფორმაციით ცენტრალური სომალის გუბერნატორმა დააწესა ჯილდო 25 ათასი ამერიკული დოლარის სახით, ყველა იმ ადამიანისთვის, ვინც მოკლავს ისლამისტური ორგანიზაციის - ალ-შაბაბის მებრძოლს. ასევე, ჰირანის რეგიონის გუბერნატორმა გასცა ალ-შაბაბის წევრების ცოლებისა და შვილების მოკვლის ბრძანება.

18 ოქტომბერს გავრცელებული ინფორმაციით ალ-შაბააბმა დაკარგა კონტროლი სტრატეგიულ სოფლებზე სამხრეთ სომალიში. აღნიშნულ ტერიტორიაზე კონტროლი დაიბრუნა სომალის ეროვნულმა არმიამ, ადგილობრივმა მოსახლეობამ დაადასტურა, რომ ალ-შაბააბის მებრძოლებმა წინააღმდეგიბის გარეშე დატოვეს ტერიტორია.

19 ოქტომბერს ცენტრალურ სომალიში ისლამისტური აჯანყებული ჯგუფის, ალ-შაბააბის თვითმკვლელის თავდასხმას ორი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ერთი ჯარისკაცი. არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აბდირაჰმან ოსობოვმა დაადანაშაულა ალ-ქაიდასთან დაკავშირებული ჯგუფი ალ-შაბაბი, რომელიც 15 წლის განმავლობაში სომალის სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებას აწარმოებდა.

19 ოქტომბრის ინფორმაციით, ადგილობრივი მილიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად სამთავრობო ძალებმა ალ-შაბაბის რამდენიმე სოფელზე კონტროლი დაამყარეს. ოთხშაბათს დილით ადრე, სომალის ჯარები გადავიდნენ ვარკულანში, ბაკაჯეში, გალეფში, ვარ-ისეში, ქორჰერეში და ჯილაბლიში, რომლებიც ჯოურ-რაგა-ელ გზატკეცილზე შუა შაბელის რეგიონში მდებარეობს.

რუანდა

ბლუმბერგის იმფორმაციით ევროკავშირი განიხილავს ფინანსური დახმარების მიწოდების საკითხს რუანდის სამხედრო ძალებისთვის. რუანდის ჯარი ამაჟამად იბრძვის დაეშთან დაკავშირებული ჯგუფების წინააღმდეგ მოზამბიკის ჩრდილოეთ რეგიონში, რომელიც მდიდარია ბუნებრივი აირის მარაგებით.

მოზამბიკი

20 ოქტომბერს Bloomberg-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ Gemfields Group Ltd.-ის აქციების მეხუთედზე მეტი იოჰანესბურგში მას შემდეგ დაეცა, რაც „ისლამური სახელმწიფოს" მეამბოხეები თავს დაესხნენ ჩრდილოეთ მოზამბიკში მდებარე ლალის მაღაროს, რომლის მახლობლად კომპანია სამუშაოებს აწარმოებდა და იძულებული გახდა, რომ პერსონალის ევაკუაცია გამოეცხადებინა.

ნიგერია

როიტერსის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, ნიგერის შტატში შეიარაღებული ბანდა შეიჭრა ჰოსპიტალში და გაიტაცა სულ მცირე ათი მედიკოსი. ოფიციალური აბუჯა ავრცელებს ონფორმაციას რომ ტერორისტული ორგანიზაცია ბოკო ჰარამი ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს ფულს მათთან თანამშრომლობისთვის, არსებობს ვარაუდი, რომ აღნიშნული ბანდა დაკავშირებულია სწორედ ბოკო ჰარამთან.

18 ოქტომბერს ნიგერიის თავდაცვის შტაბის უფროსმა, გენერალმა ლუკი ირაბორმა განაცხადა, რომ ბოკო ჰარამის აჯანყებამ 100 000 ადამიანის სიკვდილი და 2 მილიონზე მეტი ადამიანის გადასახლება გამოიწვია. მან ეს ინფორმაცია აბუჯაში 2022 წლის მინისტრთა შესრულების მიმოხილვის დახურვის ცერემონიაზე გააჟღერა. გენერალმა ასევე თქვა, რომ ამბოხებამ ქვეყანას 9 მილიარდი დოლარის ზიანი მიაყენა.

19 ოქტომბერს ტერორისტულმა ორგანიზაცია ბოკო ჰარამმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ მათმა მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ადგილობრივ ეკლესიაზე კოგის შტატში, ნიგერიის ცენტრალურ ნაწილში. გავრცელებული ინფორმაციით გარდაიცვალა ორი, ხოლო დაიჭრა კიდევ რამდენიმე ადამიანი, აღნიშნულ თავდასხმაზე პასუხისმგებლობა აიღო ბოკო ჰარამმა.

20 ოქტომბერს ნიგერიის ბენუეს შტატში მესაქონლეებსა და ფერმერებს შორის შეტაკებებს, ადგილობრივი ოფიციალური პირის თქმით, სულ მცირე 23 ადამიანი ემსხვერპლა. ბოლო მომაკვდინებელი ინციდენტი აფრიკის ყველაზე დასახლებულ ქვეყანაში მიწის რესურსებზე მზარდმა ზეწოლამ გამოიწვია.

ტოგო

20 ოქტომბერს ტოგოს უსაფრთხოების ძალებმა განახორციელეს იმიტირებული ჯიჰადისტური თავდასხმა დედაქალაქ ლომეში, სადაც სწავლობენ მძევლების აყვანას, რადგან ქვეყანა მზარდი საფრთხის წინაშე დგას. ლომეს ადიდოგომეს რაიონში მდებარე რესტორანს სახელად "Noudoudou-a-gnon" თავს დაესხა პოლიციის ექვსი მძიმედ შეიარაღებული მებრძოლი, რომლებმაც ცეცხლი გახსნეს და მძევლები აიყვანეს.

ავღანეთი

19 ოქტომბერს Afghan Witness-მა გაავრცელა ინფორმაცია თალიბანის ძალების მიერ 28 ოპოზიციონერი მებრძოლის მოკვლის შესახებ. შეტაკებები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ პროვინცია პანჯირში, გარდაცვლილი პირები არიან ეროვნული წინააღმდეგობის ფრონტის წევრები, რომლებიც თალიბანის მმართველობის აღდგენის შემდგომ მათ შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ.

პაკისტანი

ქაბულში თალიბების რეჟიმის საშიშროება უდავოდ ნათელი გახდა პაკისტანისთვის, რადგან ქვეყანა ერთი წლის განმავლობაში ტერორისტული თავდასხმების რაოდენობის დაუჯერებელი 51 პროცენტით ზრდის მოწმე მას შემდეგ, რაც გასული წლის აგვისტოში მებრძოლმა დაჯგუფებამ ავღანეთში ძალაუფლება ხელში ჩაიგდო. დეტალების მიხედვით, 2021 წლის 15 აგვისტოდან 2022 წლის 14 აგვისტომდე პაკისტანში 250 ტერაქტის შედეგად დაიღუპა 433 ადამიანი და დაიჭრა 719. 2020 წლის 15 აგვისტოდან 2021 წლის 14 აგვისტომდე, ქვეყანა 165 თავდასხმის მომსწრე გახდა, რამაც 294 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, 598 კი დაშავდა.

ავსტრალია

სასამართლოს მოსმენით, 15 წლის ადელაიდის სკოლის მოსწავლემ აღიარა, რომ ფლობდა ექსტრემისტულ მასალებს და სხვებს ინტერნეტში ასწავლინდა, თუ როგორ უნდა დაემზადებინათ ბომბები. პროკურორებმა სთხოვეს სამხრეთ ავსტრალიის

ახალგაზრდულ სასამართლოს, საოლქო სასამართლოში ბიჭი გაასამართლონ, როგორც მოზრდილი, იმისათვის, რომ მას უფრო მძიმე სასჯელი დაეკისროს.